სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
ს ე ნ ა ტ ი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
რუსთაველის ქ. №53

ტელ/ფაქსი: (+995 32) 27 48 50
ელ.ფოსტა:info@bsma.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №19/8

ქ. ბათუმი

2020 წლის 10 დეკემბერი

2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის სტუდენტთა ფინანსური შეღავათების დაწესების შესახებ

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 2[1] პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესისა და „სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატმა

გადაწყვიტა:

1. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის დადგინდეს სტუდენტთა ფინანსური შეღავათები სენატის 2020 წლის №16/19 გადაწყვეტილებით სწავლის საფასურის დაფარვისათვის დადგენილ ვადებში და გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტებს მიეცეთ მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასკვნით გამოცდებზე გასვლის უფლება.
2. ბათუმის სახელმწიფო საზღაო აკადემიის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტები ვალდებულნი არიან 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გავლისას დაფარონ არსებული დავალიანება სრულად. წინააღმდეგ შემთვევაში არ მიეცეთ რეგისტრაციის გავლის უფლება.
3. გადაწყვეტილება გაცნობის მიზნით და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ნავიგაციის ფაკულტეტს, საინჟინრო ფაკულტეტს, ბინზესისა და მართვის ფაკულტეტს, სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტს და დაინტერესებულ პირებს.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სენატის თავმჯდომარე,

რექტორი **ირაკლი შარაბიძე**